სდასუ
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

შესულია ცვლილება 14.01.2023წ., ბრძ N 2.

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(კონსოლიდირებული)

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტატუსი

1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში: "სდასუ") ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში: "ფაკულტეტი") არის სდასუს საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ეკონომიკისა და ბიზნესის დარგში და მათთვის ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

1.2 ფაკულტეტი საქმიანობას ახორციელებს აკადემიური ავტონომიურობის პრინციპებზე დაყრდნობით და ანგარიშვალდებულია სდასუს დამფუძნებელთა, რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

1.3 ფაკულტეტი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების,

შეთანხმებებ

ის, დეკლარაციებისა და კონვენციების, აგრეთვე "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სდასუს დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

1.4 ფაკულტეტი არ არის იურიდიული პირი.

1.5 ფაკულტეტს აქვს საკუთარი ბეჭედი.

1.6 ფაკულტეტის ადგილსამყოფელი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 25.

მუხლი 2. ფაკულტეტის ძირითადი მიზნები

2.1 ფაკულტეტის ძირითადი მიზნებია:

ა) სტუდენტებისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის; ეკონომიკისა და ბიზნესის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისათვის პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;

ბ) პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა საგარეო შრომის ბაზრისთვის, აგრეთვე, ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი ეკონომიკისა და ბიზნეს განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

გ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი ეკონომიკისა და ბიზნეს განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება;

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ სდასუს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ეკონომიკისა და ბიზნესის დარგში ახალი, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის მომზადება და გადამზადება,

დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევებისათვის პირობების შექმნა;
ე) სდასუს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები
3.1 ფაკულტეტის ამოცანებია:
ა) მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
ბ) განათლების დამოუკიდებელ კვლევებზე დაფუძნება და სტუდენტებისთვის ისეთი კვალიფიკაციისმინიჭება, რომელსაც ეფექტურად გამოიყენებენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;
გ) განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია და მობილობის გაფართოება;
დ) სტუდენტებში ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე შეხედულებების გავრცელება და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც აუცილებელია ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის პრესტიჟულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად;

მუხლი 4. ფაკულტეტის პრიორიტეტები
4.1 ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტებია:
ა) კვალიფიციური ეკონომიკური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება, დამოუკიდებელი აზროვნების უნარის ჩამოყალიბება. ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური პროცესების სტრატეგიული გაძღოლის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებმაც უნდა შეძლონ არა მარტო საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სისტემური ანალიზი, არამედ მოახდინოს სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკაში რეალიზაცია.
ბ) პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საგარეო შრომის ბაზრისთვის, აგრეთვე, ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი ეკონომიკური განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
გ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი ეკონომიკური განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

მუხლი 5. ფაკულტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურა
5.1 ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო და დეკანი.
5.2 ფაკულტეტის, მართვის ორგანოების გარდა, შედგება საგანმანათლებლო–სამეცნიერო დასასწავლო სტრუქტურული ერთეულებისაგან.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭო
6.1 სდასუს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში: "ფაკულტეტის საბჭო") სდასუს ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს ფაკულტეტის მართვას.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა
7.1 ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ერთ მეოთხედს. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის რიცხვი 4-ის ჯერადი არ არის, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრისას დამრგვალება მოხდება სტუდენტების სასარგებლოდ.

7.2 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრად ითვლება სდასუს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი.

7.3 ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების არჩევის წესი განისაზღვრება სდასუს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის დებულებით.

მუხლი **8.** ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

8.1 ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის პრიორიტეტებს;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს სდასუს რექტორს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და სდასუს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს სდასუს აკადემიურ საბჭოს;

ე) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის, ფაკულტეტის საბჭოს, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ვ) ღია კენჭიყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს;

ზ) ისმენს დეკანის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ არაუგვიანეს ერთი თვისა ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან ან, საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/2-ის მოთხოვნით;

თ) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ან აღიარებულ მეცნიერს სდასუს საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად.

8.2 ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და სდასუს დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი **9.** ფაკულტეტის საბჭოს მდივანი

9.1 ფაკულტეტის საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმის წარმოებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან, დეკანის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომაზე.

9.2 ფაკულტეტის საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;

ბ) ამზადებს წერილებისა და საბჭოზე განსახილველი საკითხების

პროექტებს;გ) ამზადებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

დ) უზრუნველყოფს დოკუმენტების

გამრავლებას;ე) აწარმოებს ფაკულტეტის

საბჭოს არქივს.

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

10.1 ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) სდასუს აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას; ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში; გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

10.2 ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმართველობის წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება ის სტუდენტი, რომელმაც არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმართველობა აირჩევს ახალ წარმომადგენელს არაუგვიანეს ერთი თვისა უფლებამოსილების შეწყვეტიდან.

მუხლი 11. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება

11.1 ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

ა) ერთ თვეზე მეტი ხნით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში, თუ მოკლებულიაფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;

ბ) ერთ თვეზე მეტი ხნით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას ან სხვა გარემოებისარსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში.

11.2 ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებსფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 12. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

12.1 ფაკულტეტის საბჭოს სხდომას იწვევს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში -დეკანის მოადგილე.

12.2 ფაკულტეტის საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეული იქნეს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ერთიმესამედის გადაწყვეტილებითაც.

12.3 ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრშიერთხელ.

12.4 ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მისი არყოფნისშემთხვევაში — დეკანის მოადგილე.

12.5 ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს ესწრებიან, ფაკულტეტის საბჭოს წევრები. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს უფლება აქვს დაესწროს, ფაკულტეტის საბჭოს სხდომებსსათათბირო ხმის უფლებით.

სხვა, დაინტერესებულ პირთა მხრიდან ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, მათი დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს, ფაკულტეტის საბჭო.

12.6 ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

12.7 თუ წინამდებარე დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

12.8 ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-12.8 და მე-12.9 პუნქტებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა იანგარიშება ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობიდან

უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა რიცხვის გამოკლებით.

12.9 ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა განსაკუთრებელი შემთხვევებისა. ფარული კენჭისყრის ჩატარების საკითხს წინასწარ წყვეტს დეკანი.

მუხლი 13. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

13.1 ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე) და მდივანი.

13.2 ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები ინახება, ფაკულტეტის დეკანის მიერ არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა სდასუს არქივს.

მუხლი 14. ფაკულტეტის დეკანი

14.1 სდასუს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელია, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი (შემდგომში: "ფაკულტეტის დეკანი"), რომელიც თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს და წარმართავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობას.

14.2 ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ნიშნავს სდასუს რექტორი.

14.3 დეკანად შეიძლება დაინიშნოს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

მუხლი 15. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილება

15.1 ფაკულტეტის დეკანი:

ა) ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს წინაშე;

ბ) წარმოადგენს ფაკულტეტს და ფაკულტეტის საბჭოს სდასუს აკადემიური საბჭოს და სდასუს რექტორის, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოების, აგრეთვე, ხელისუფლების ადგილობრივი და უმაღლესი ორგანოების წინაშე;

გ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

დ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს, ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას; ე) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს, ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ

გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

ვ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს, ფაკულტეტის საბჭოს და სადისერტაციოსაბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებს;

ზ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტში მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევითსამუშაოებს;

თ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ფაკულტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი საქმიანობისეფექტურობის ამაღლების მიზნით;

ი) უზრუნველყოფს ფაკულტეტში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია სდასუს აკადემიური საბჭოს, რექტორის,აგრეთვე ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

ლ) წარმართავს ურთიერთობებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივსამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
მ) განსაზღვრავს ფაკულტეტის საკომუნიკაციო პოლიტიკას;
ნ) წარმართავს და ახორციელებს ურთიერთობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან,პასუხისმგებელია ფაკულტეტის იმიჯზე, შიდა და გარე კომუნიკაციებზე;
ო) ორგანიზებას უწევს და წარმართავს საპრეზენტაციო ღონისძიებებს;
პ) ახორციელებს ფაკულტეტში დასაქმებულთა (დამხმარე პერსონალის) შერჩევას და წარუდგენსრექტორს განსახილველად და დასანიშნად;
ჟ) განიხილავს და პასუხობს ფაკულტეტის საბჭოში შემოსულ განცხადებებს, პრეტენზიებსა და საჩივრებს;
ტ) ახორციელებს ფაკულტეტში განცხადებით შემოსულ პირთა მიღებას;
ს) მეთვალყურეობს და ზედამხედველობს ფაკულტეტში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და სდასუს შინაგანაწესის დაცვას;
უ) უშუალოდ ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დამხმადე პერსონალის საქმიანობას;
ფ) ისმენს ფაკულტეტის სტრუქტურული დანაყოფებისა და/ან ცალკეული დასაქმებულებისანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ და ახდენს მათ შეფასებას;
ქ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიმართავს რექტორს წინადადებით დასაქმებულთაწახალისებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;
ღ) პასუხისმგებელია ფაკულტეტისთვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

15.2 ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, სდასუს დებულებითა და შინაგანაწესით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს და საქმიანობას, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება ფაკულტეტის მიზნებს.

მუხლი 16. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტა

16.1 ფაკულტეტის დეკანს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) უფლებამოსილების 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობისშემთხვევაში;
გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხევაში.

16.2 ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების და/ან დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მიმართოს რექტორს დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 17. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

17.1 ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, დეკანის წარდგინებით, ნიშნავს სდასუს რექტორი.

17.2 დეკანის მოადგილე მოქმედებს დეკანის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

17.3 მოადგილე, დეკანის არყოფნის შემთხვევაში, უძღვება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს.

მუხლი 18. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

18.1 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში: "სადისერტაციო საბჭო") არის ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

18.2 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დაკომპლექტების, მისი თავმჯდომარის არჩევისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, სდასუს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

18.3 ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორის და ასოცირებული პროფესორისაგან. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს ეკონომიკის და/ან ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი.

18.4 სდასუ უფლებამოსილია, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

მუხლი 19. ბაკალავრიატი

19.1 სდასუს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატი (შემდგომში "ბაკალავრიატი") არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მომზადდეს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკა- ლავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ფართოდ ეცოდინება ბიზნესის სფერო, ექნება დარგობრივი და ტრანსფერული უნარები რაც აუცილებელია ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.

19.2 ბაკალავრიატში სწავლის მიზანია, ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად, სასწავლო კურსების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება,

რაც ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

19.3 ბაკალავრიატში სწავლა მიმდინარეობს სდასუს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და მთავრდება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მუხლი 20. ბაკალავრიატში ჩარიცხვის წესი

20.1 ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ატესტატის ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს.

20.2 ბაკალავრიატში ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოსკანონმდებლობით დადგენილი წესით და სდასუში პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის საფუძველზე.

მუხლი 21. მაგისტრატურა

21.1 სდასუს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა (შემდგომში "მაგისტრატურა") არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აგებულია პრაქტიკული პროფილით, მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და აკადემიურ კომპონენტს. მაგისტრატურა მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებას, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევების გამომუშავებას და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობას.

21.2 მაგისტრატურაში სწავლა მიმდინარეობს სდასუს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში და მთავრდება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მუხლი 22. მაგისტრატურაში ჩარიცხვის წესი

22.1 მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

22.2 მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო/საერთაშორისო გამოცდების, ში- და/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სდასუ-ში სამაგისტრო პროგ- რამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხოურ ენაში (B2 დონე).

22.3 მაგისტრატურაში სპეციალიზაციაში ჩასაბარებელი გამოცდების საკითხები, გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა განთავსდება სდასუს ვებგვერდზე.

მუხლი 23. დოქტორანტურა

23.1 სდასუს ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურა (შემდგომში "დოქტორანტურა") არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკის მიმართულებით სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

23.2 დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სდასუს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

23.3 ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს ეკონომიკის სპეციალობის ან ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირს.

23.4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე.

23.4 ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს.

23.5 დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, მოეთხოვება ქართული ენის სათანადო დონეზე ცოდნა, რაც დგინდება სერტიფიკატის წარმოდგენით ან გამოცდის ჩაბარებით ქართულ ენაში.

მუხლი 24. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

24.1 დოქტორანტურაში პირი ჩაირიცხება სადოქტორო პროგრამების ფარგლებში წინასწარ არჩეული სადისერტაციო თემით ან საკვლევი სადოქტორო თემების მიხედვით ჩატარებული საკონკურსო შერჩევის საფუძველზე.

24.2 სადოქტორო პროგრამები და საკვლევი თემები განთავსდება სდასუს ვებ-გვერდზე არანაკლებ ერთი თვით ადრე კონკურსის ჩატარებამდე.

24.3 დოქტორანტობის კანდიდატმა სდასუს რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება

(დანართი 1).

განცხადებას თან ერთვის:

ა) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ („CV“);

ბ) სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებულიასლი;

გ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი.

დ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (სადოქტორო საკვლევი თემების კონკურსში მონაწილისათვის) ან სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;

ე) განმცხადებლის წერილობითი დასტური იმისა, რომ არ ირიცხება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში (დანართი 2).

24.4 სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოსშერჩეული თემის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა.

24.5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა დოქტორანტობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება, რომელიც ორი ეტაპისგან შედგება: პირველ ეტაპზე დოქტორანტობის კანდიდატი გამოცდას ჩააბარებს უცხოურ ენაში B2 დონეზე (საჭიროების შემთხვევაში – ქართულ ენაშიც) სდასუს რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიასთან (შესაბამისი სერტიფიკატის არარასებობის შემთხვევაში); მეორე ეტაპზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი გასაუბრებას გაივლის/გამოცდას ჩააბარებს სადისერტაციო საბჭოს წევრებისგან ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე სდასუს რექტორის ბრძანებით შექმნილ დარგობრივ კომისიასთან;

24.6 დოქტორანტობის კანდიდატი წერილობითი სახით წარმოადგენს საკუთარ ხედვას (კონცეფციას) საკვლევ თემაში/წინასწარ შერჩეულ სადისერტაციო თემაში დანახული პრობლემების გადაჭრის გზების, კვლევის პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების და სავარაუდო შედეგების შესახებ.

24.7 პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება და ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) დაენიშნება, თუ ღია კენჭისყრისას მხარს დაუჭერს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა/გამოცდაში (გამოცდებში) მიიღებს დადებით შეფასებას.

24.8 გასაუბრების წარმატებით გავლის/გამოცდის (გამოცდების) ჩაბარების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით, პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება სდასუს რექტორის ბრძანებით.

24.9 ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 25. ფაკულტეტის დებულების შემუშავება და ძალაში შესვლა

25.1 ფაკულტეტის დებულება დეკანის წარდგინებით შემუშავდება ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ და ამტკიცებს სდასუს აკადემიური საბჭო.

25.2 ფაკულტეტის დებულება ძალაში შედის სდასუს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე, რაც დასტურდება რექტორის ხელმოწერით.

25.3 ფაკულტეტის წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან ყოველგვარი ცლილება-დამატებები მასში ძალაში შევა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისა და რექტორის ხელმოწერის შემდეგ.